## საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
## საჯარო სამართლის იურიდიული პირი
## ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 714/ს

07/04/2023 714-11-4-202304071638

**შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“-სთვის სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეში, გურიის სატყეო სამსახურის ჩოხატაურის სატყეო უბანში, 2172 კვ.მ. მიწის ფართობზე განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების მინიჭების შესახებ**

საქართველოს კანონი „საქართველოს ტყის კოდექსი"-ს 44-ე მუხლის პირველი პუნქტის, 68-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის შესახებ" დებულების მე-60 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის, 64-ე მუხლის პირველი პუნქტის, 77-ე მუხლის პირველი პუნქტის და სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ტყითსარგებლობის დეპარტამენტის 06/04/2023წ. N6528 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს (შემდგომში-სააგენტო) მართვას დაქვემდებარებულ, გურიის სატყეო სამსახურის, ჩოხატაურის სატყეო უბნის, ბახმაროს სატყეოს N 11 კვარტლის N15 ლიტერში, N12 კვარტლის N14 ლიტერში, N14 კვარტლის NN5; 15; 23 ლიტერებში და N15 კვარტლის NN8; 14 ლიტერებში, სახელმწიფო ტყის 2172 კვ.მ. მიწის ფართობზე (ს/კ:N28. 25. 02. 061; N28. 25. 04. 140; N28. 25. 02. 760; N28. 25. 02. 761; N28. 25. 02. 762; N28.25.02.763 და N28.25.01.300), წყალმომარაგების/წყალარინების ინფრასტრუქტურის (ქსელი, წნევის ჩამქრობი ჭები) მშენებლობის და შემდგომი ფუნქციონირების მიზნით, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“-ს (ს/ნ:412 670 097 შემდგომში- ტყითმოსარგებლე),

ხე-ტყის ჭრის ნებართვის გარეშე, 25 წლამდე ვადით მიენიჭოს, განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლება.

2. ტყითმოსარგებლე ვალდებულია ფართობზე სამუშაოების დაწყებამდე გურიის სატყეო სამსახურთან გააფორმოს, ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული სახელმწიფო ტყის ტერიტორიის მიღება-ჩაბარების აქტი.

3. საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის შესახებ" დებულების 64-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ტყითმოსარგებლემ განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლება დაარეგისტრიროს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და ამავე ბრძანებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულებისთანავე, სპეციალური დანიშნულებით სარგებლობაში გადაცემული ტერიტორია, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გადასცეს სააგენტოს.

4.ტყითმოსარგებლემ განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობისთვის საკომპენსაციო საფასურის გადახდა განახორციელოს ზემოაღნიშნული N221 დადგენილების 77-ე მუხლით დადგენილი წესისა და პირობების შესაბამისად. სულ: 4800 ლარის (ოთხი ათას რვაასი) ოდენობით.

5.განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლებით გადაცემულ ტერიტორიაზე სამუშაოების წარმოებისას კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენის შემთხვევაში, სამუშაოთა მწარმოებელი პირი ვალდებულია, იმოქმედოს „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად.

6. ეს ბრძანება ამოქმედდეს დაინტერესებული პირისთვის ბრძანების გაცნობისთანავე.

7. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ.თბილისი, მარშალ გელოვანის N6), ამ ბრძანების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

კახა ცერცვაძე

სააგენტოს უფროსი